№ 257 9 დეკემბერი, ხუთშაბათი. 1866—1882 9 დეკემბერი, ხუთშაბათი. № 257.

რედაქცია

გოლოვინის პროსპექტზე თ. ივ. მუხრანსკის სახლებში კლუბის ქვემოთ.

ხელის-მოწერა

მიიღება თფილისში „დროების“ რედაქციაში, ქუთაისში: ჭილაძის (ბერძნების) წიგნის მაღაზიაში. გარეშე ცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“.

„დროების“ ფასი:

| | | | |
|---|---|---|---|
| ერთის წლისა | 9 მან. | სამის თვისა | 3 მან. |
| ნახევარის წლისა | 5 მან. | ერთის თვისა | 1 მან. |

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა

დიდის ასოებით, ასოზე 1 კაპ. ... ასოზე ნახევარი კაპ., წვრილმანი ასოთი სტრიქონზე 8 კაპ.

თუ სტრიქონები მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დაუბეჭდავ გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილს რედაქცია უკანვე არ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულ, რუსულ და სხვა ენებზე.

ქუთაისში განცხადება მიიღება ჭილაძის წიგნის მაღაზიაში.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს ერთი შაური.

მომავალ 1883 წელს ყოველ-დღიური გაზეთი

## „დროება“

გამოვა იმავე პროგრამმითა და წესით, როგორც აქამდინ გამოდიოდა.

რედაქციას იმედი აქვს, რომ ზოგიერთ ახალი თანამშრომლებისა და სხვა დონისძიების შემწეობით, მომავალის წლიდამ გააუმჯობესოს თავის გაზეთი და ისეთი ცვლილება შემოიღოს იმის გამოცემაში, რომლისთვისაც მკითხველნი კმაყოფილნი დარჩებიან.

ხელის-მოწერა მიიღება:

თფილისში: „დროების“ რედაქციის კანტორაში, გალავინის პროსპექტზე, თ. ივ. კ. მუხრანსკის სახლებში, კლუბის ქვემოთ.

ქუთაისში:—ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში, ბულვართან.

ბათომში:—ლევ. მჭედლიშვილთან, საკუთარს სახლში.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა მოითხოვონ გაზეთი Въ Тифлисъ, Въ редакцію газ. „Дроэба“.

ფასი ხელის-მოწერისა:

| | | | |
|---|---|---|---|
| ერთის წლით: | 9 მან. | სამის თვით | 3 „ |
| ნახევარის წლით | 5 „ | ერთის თვით | 1 „ |

სხვა გვარით ხელის-მოწერა არ შეიძლება. ხვედრი ფული ხელის-მომწერმა გაზეთის დაბარებისათანავე უნდა გამოგზავნოს რედაქციაში. ვითხოვთ აგრეთვე, რომ თავის სახელი და გვარი და საცხოვრებელი ადგილი გარკვევით დასწერონ.

რედაქტორი სერ. მესხი.

გამომცემელი სტ. მელიქიშვილი.

ამ ახალ ხელის-მოწერის გამოცხადებასთან ერთად საჭიროდ ვრაცხთ ბოდიში მოვითხოვოთ ჩვენი გაზეთისა და ჟურნ. „ივერიის“ შარშანდელ ხელის-მომწერლების წინაშე: ხსენებულ წლის ხელის-მომწერთა დავპირდით ჩვენ საჩუქრად ალბომის გაგზავნა, მაგრამ, საუბედუროთ, ჩვენდა უნებურად ვერ აოვასრულეთ ამ დაპირების შესრულება. მიზეზი ამისი გახლდათ ჩვენი ახალგაზდა მხატვარი ბ. ა. ბერიძე, რომელსაც ჩვენ თავის დროზე გარდავეცით სურათები ამ ალბომისათვის, რედაქციისაგან შედგენილი ტექსტი (უმთავრესი ნაწილი ბ. დ. ზ. ბაქრაძისა და ი. მ. მეუნარგიასაგან) და ამას გარდა, რამდენიც თვითონ ბ. ბერიძემ მოითხოვა ფული. ბ. ბერიძე დღემდინ გვიპირდებოდა ალბომის დამზადებას პეტერბურღში და გამოგზავნას; მაგრამ რადგან აქამდინ ვერ შეგვისრულა დაპირება, ამის გამო ჩვენ დაკარგულად მიგვაჩნია ხსენებული სურათებიც, ტექსტიც და ფულებიცა და, რაც ყველაზე სამწუხაროა, ჩვენი დაპირებაც შეუსრულებელი.

ამ განმარტების შემდეგ, იმედი გვაქვს ჩვენი 1881 წლის მკითხველები მოგვიტევებენ ჩვენს უნებურ იმათ წინაშე შეცოდებასა.

ქართული სამეცნიერო ტერმინების შემუშავებისათვის შემდეგი

## კრება

დანიშნულია დღეს, 9 ქრისტეშობისთვეს, ქალაქის რჩევის დარბაზში საღამოს შვიდ საათზე.

## ტელეგრამმა

(„ჩრდილოეთ ტელეგრაფის სააგენტოს“)

7-ს დეკემბერს.

პეტერბურღი, გუშინ ხელმწიფე იმპერატორი ბრძანდებოდა პეტერბურღში; ქალაქში ჩირაღდნებით იყო ანთებული.

ვარშავა. ბევრს მანიფაქტურულ საქონლის პარტიობით მოვაჭრეებს გაუხსნიათ მაღაზიები დამოჟნის ჩინოვნიკებმა. რამდენიმე ქუჩა გარ-შემორტყმულია ჯარით.

სამარყანდი. აქ დაარსებულია ინტერნატი. სამოქალაქო სასწავლებელი და ყმაწვილების თავ-შესაფარი სახლი.

პსკოვი. ყალბი ასიგნაციების გამსაღებელნი გლეხნი ფედოროვი და ბოგდანოვი გაიგზავნენ კატორღაში, პირველი რვა და მეორე ოთხის წლით.

ირკუტსკი. დიდის ამბით დღესასწაულობენ აქ ციმბირის 300 წლის იუბილეის. ნემჩინოვებმა და ბაზანოვმა შესწირეს 15,000 თუმანი გიყების განყოფილებას.

ნოვოჩერკასკი. 1883 წელში გაიხსნება აქ კადეტის კორპუსი. საერო კომმისიამ დაიწყო თვისი მოქმედება.

პარიჟი. საზოგადოების აზრი თხოულობს ტონკინში ჯარების გაგზავნას. მმართებლობა იძულებული იქნება შეასრულოს ეს საზოგადო მოთხოვნილება. სადგომის გახსნის შემდეგ კრაპოტკინი განთავისუფლეს.

ბერლინი. მცოდნე წრეები დარწმუნებულნი არიან, რომ ოფიციალურის გაზეთების ომიანობაზე აყაყანება უნდა მიეწეროს მმართებლობის სურვილს, რომ ეხლანდელ რკინის გზებზე მეორე რელსების ხარჯზე დაასთანხმოს პარლამენტი.

ლონდონი. „*Morning Post*“-ის ბერლინელი კორრესპონდენტი იწერება, რომ ცნობებმა რუსეთის შეიარაღებაზედ აიძულა გერმანია მიეღო ზომები თავის დაცვისათვის. პირველ ზომათ მიაჩნიათ გაკეთება რკინის გზისა ბალტიის და ჩრდილოეთის ზღვების ნაპირებზედ. გაზეთს მაინც არა სჯერა, რომ მეგობრული კავშირი რუსეთისა და გერმანიის შორის დაირღვეს რითიმე.

## ბათომი და ბათომელები

ტფილისი, 8 დეკემბერს.

ამ სტრიქონების დამწერმა რამდენიმე დღე დავყავი ამ უკანასკნელ დროს, ბათომში და მსურს ჩემი შთაბეჭდილება, რაც ვნახე და რაც გავიგონე, მკითხველს ვაცნობო. იმედი მაქვს, ეს ნახული და გაგონილი საინტერესო იქნება ჩვენებურ მკითხველისათვისაც.

პირველად მე ვნახე ბათომი იმ დღეს, რა დღესაც ის რუსებმა დაიჭირეს (26 მარიამობისთვეს 1878 წ.) ეს იყო ის დღე, როდესაც ოსმალოს მთავრობა და ჯარი თავის დერვიშ-ფაშით სტოვებდნენ ამ ქვეყანას და მაგიერად, შიგ რუსის ჯარი და რუსის მთავრობა შედიოდა.

მთელი ქალაქი, მთელი ეს მხარე არეული იყო მაშინ; არ იცოდნენ—როგორ მიეგებებოდნენ, როგორ დახვდებოდნენ რუსებს; არ იცოდნენ—დღეს რა იქნებოდნენ და ხვალ რა მოელოდათ რუსების ხელში. ამიტომაც ბევრმა მაშინვე გადაწყვიტა თავის მამა-პაპეულ მიწა-წყლის და ადგილ-მამულის მიტევება და მიატოვა კიდეც, გაჰყვა მიმავალ ოსმალოს ჯარს. მომეტებული ნაწილი კი, რასაკვირველია, დარჩა. მაგრამ ეს დარჩენილებიც იმ მოსაზრებით დარჩნენ, რომ ჯერ სამი წელიწადი კიდევ ვადა გვაქვსო, ვნახავთ, შევიტყობთ, და თუ ვერ მოვთავსდით რუსობასთან, მერეც შეგვიძლია წასვლაო.

მაშინდელი ბათომი ახლანდელს ბორზე უფრო პატარა და უშნო ქალაქი იყო. ორ-სამ რიგიან სახლს ვერ ნახავდით; ტალახიანი, ოღროჩოღროიანი, ბნელი ქუჩები, აზიური ბაზარი და სხვა, როგორც საზოგადოდ აღმოსავლეთის პატარა ქალაქს შეჰფერის.

ერთის წლის შემდეგ კიდევ მომეცა შემთხვევა ბათომის ნახვისა.

რუსის მთავრობა დამკვიდრებული იყო. ხალხში აქა-იქ თავის ბედზე უკმაყოფილება და გაჭირებულ მდგომარეობაზე ჩივილი ისმოდა,—ომიანობამ თავის ნაყოფი მოიტანა. ზოგიერთ მაზრებში ხალხი შიმშილით სწყდებოდა.

მაგიერად თვითონ ქ. ბათომში უჩვეულებრივი მოძრაობა ჩნდა: გაჩენილიყვნენ უანგარიშო პირნი, უცხო ქვეყნებიდამ მოსულნი, რომელნიც ამ ახლად-დაპყრობილ ქვეყანაში ხელის-მოთბობას, ჯიბის გავსებას ჰლამოდნენ და მეძებარ ძაღლებივით იშვერდნენ ხან იქით და ხან აქეთ ცხვირს—საიდამ მოდის ფულის სუნიო.

ერთი გაუწყნარებელი, გახურებული ძებნა და ტაცება იყო მაშინ ბათომში თავისუფალ ადგილებისა; ვინც არ გინდა, მამულს იძენდა, სახლების აშენებას ჰფიქრობდა.

ადგილობრივი ხალხი ყველა ამას ხედავდა და ჰფიქრობდა... მაგრამ რას ჰფიქრობდა, ამას ყველა უჩვენოდაც ადვილად მიხვდება.

დღეს მესამედ ვიყავი ბათომში.

პირველი ჩემი შთაბეჭდილება იყო, რომ ეს „გაესილა, გაზდილა“, როგორც გ. ერისთვის იმერელი ამბობს. მართლაც, გარეგანის შეხედულობით დიდი განსხვავებაა მაშინდელს და ახლანდელს ბათომს შუა. სად ახლანდელი ორ-სამ და ოთხ-ეტაჟიანი უზარმაზარი ქვითკირის სახლები და სასტუმროები და სად მაშინდელი მინგრეულ-მონგრეული ხის ქოხები და უწმინდური ყავახანები. სად ახლანდელი ნამდვილ ევროპიული მდიდარი მაღაზიები, რომლებშიაც მგონი ჩიტის რძესაც კი იშოვნის კაცი, და სად მაშინდელი დუქნები, რომლებშიაც მუხლ-მოკეცილი ბათომელი ორიოდ თოფ ტრაპიზონის ჩითეულობით ვაჭრობდა. ქუჩები ახლაც მართალია სანატრელს მდგომარეობაში არ არის, მაგრამ აქა-იქ ღამით ფანრები მაინც ანთია. საცა არ გაიხედავთ, ყველგან ახალი შენობები გაუშენებიათ ან აშენებენ. მთელი ახალი უბნები გაკეთებულან, ქალაქის ბაღს ჰმართვენ, ქალაქი „გაპლანულია“, ტბებს აშრობენ, წყალი გამოჰყავთ, ნავთ-სადგურის გაფართოებას აპირებენ, რკინის გზა გაჰყავთ და სხვ. და სხვ.

ეს გარეგანი შეხედულობით, ერთის თვალის გადავლებით. ამ მხრით, ვისაც ადრე, ოსმალოს ხელში უნახავს ბათომი და ახლაც ჰხედავს, ყველა დარწმუნებით იტყვის, რომ ამ

ქალაქს დიდი მომავალი აქვს, კარგი ბედი მოელისო.

საუბედუროდ, სურათი იცვლება, როცა ცოტათი მაინც დავაკვირდებით აქაურ ხალხს, აქაურ ცხოვრებას და გარეგან შეხედულობიდამ ხალხის ცხოვრების, იმის მდგომარეობას განხილვაზე გადავალთ.

მაგრამ ამაზე შემდეგ.

## დღიური

ამას წინად ჩვენს გაზეთში იყო ნათქვამი ორიოდე სიტყვა იმ მოსამსახურეთ საზოგადოების შესახებ, რომელთაც მოიწადინეს თავის მოყრა და ერთის კორპორაციის შედგენა, რათა ცუდი ყოფა-ქცევის ხალხი მოეშორებინათ თავიდგან და თითონაც არ შექნილიყვნენ მსხვერპლნი სხვა-და-სხვა გვარის ხარბის დამქირავლებლებისა.

ეხლა შევიტყვეთ, რომ იმათი წესდება მთავრობას დაებრუნებია ზოგიერთი მუხლების შესაცვლელად და ახლა, როგორც ამბობენ, არჩეულნი პირნი უკვე უპირებენ ამ წესდებას შეცვლას, გასწორებას და წარდგენას ისე, რომ დაბრკოლება აღარ მიეცეს.

უექველია, მომავალს 1883 წელში ეს საზოგადოება შესდგება, დამტკიცდება და ყველას თავიდგან ასცილდება ის უსიამოვნება, რომელიც სდევს დალალების შემწეობით მოსამსახურეთ დაქირავებას.

*
* *

მართლა დალალებზედ. ამას წინად იყო მოყვანილი ჩვენს გაზეთში ერთი აღმაშფოთებელი ამბავი. ეხლა კიდევ გვატყობინებენ რამდენსამე საყურადღებო ამბავს:

ერთმა დალალმა ჩაიგდო ხელში ერთი ახლად ჩამოსული ბიჭი და წინადვე განზრახულს თავის ამხანაგებთან დაჰყუანდა, ვითომც მოჯამაგირეთ მსურველებთან, ყოველ წაყვანაზედ, მოცდენისა და დროს დაკარგვისთვის თითო მანეთსართმევდა ბიჭს და ტყუილი დამქირავებელნი-კი ისე ცოტა ფასს შეაძლევდნენ რომ ამ ფასად დადგომა შეუძლებლად ხდებოდა; იქამდინ ატარა საცოდავი სოფლელი, სანამ უკანასკნელს გროშს გამოაცლიდა ხელიდგან.

ერთი დალალი კიდევ სხვა გვარ საქმეს ჩადის თურმე: ჰყავს არჩეული ბიჭები, მიიყვანს პატრონთან დასაყენებლად, შრომის ფულს ცალკე გამოართმევს და ბიჭს წინად ბეის მაგიერს გაურიგებს რამდენიმე მანეთს; ბიჭი მიიღებს ბეის და ამ დღიდგან დამქირავებელი მოელის თავის მოჯამაგირეს, რომელიც ბზობის ყვავსავით გადაიკარგება. დალალი და ბიჭი, უექველია, იყოფენ ამ ფულს და დროს ერთად ატარებენ.

*
* *

საზოგადოდ ტფილისში არის ისეთი გარყვნილების საბუდრები, რომელთ გაგონებაც კაცს ყურებში თითს დააცობინებს. სხვათა შორის ერთი ამ უსაძაგლესთაგანი გარყვნილების ადგილი არის აბანოებთან სხვა-და-სხვა მიკიტანხანები და სამარცხვინო სახლები რომელშიაც შესაზარი ცხოვრება გაძრიელებულა და მეტის-მეტად ცუდს მაგალითა აძლევს ხალხს. ცუდი არ იქნებოდა, რომ განსაკუთრებითი ყურადღება მიექცია ქალაქს ამ ადგილებისთვის და თავიდგან აეცილებინა ეს გარყვნილობისა და ავაზაკების აღსაზრდელი სკოლა, რომლის შაგირდებიც შემდეგში იმდენს უსიამოვნებას თავსა გვხვევენ.

*
* *

ჩვენს ქალაქში თავი გამოიჩინა და ფალავნობის სახელი გაითქვა მოჭიდავე გლდანელმა. საქართველოს ყოველის მხრიდგან მოდიან ამასთან საჭიდაოდ და ბედის საცდელად სხვა-და-სხვა მოჭიდავენი, მაგრამ გამარჯვებული ჯერ-ჯერობით მაინც გლდანელი რჩება. იქამდინ განსაცვიფრებელია გლდანელის ძალა, სიმარდე და ხერხი ჭიდაობაში, რომ იმან სომხებსა და ქართველებს შუა დიდი ბაასი ასტეხა—თუ რომელს ტომს ეკუთვნის ეს მართლადაც სასახელო მოჭიდავე. ერთის სიტყვით, გლდანელი შეიქნა სადაო და სალაპარაკო.

*
* *

ჩვენ გავიგეთ, რომ „წამება ქეთევან დედოფლისა“ დრამა ხუთს მოქმედებად და შვიდს სურათად უკვე გაუთავებია ავტორს ზ. ა. მიჩხუბარიძეს და ამ ცოტას ხანში წაკითხული იქნება რამდენიმე მცოდნე პირებთან და თუ რომელიმე მიზეზმა არ დაუშალა, დაბეჭდილი ჟურნალს „ივერიაში“.

*
* *

ოზურგეთიდამ გვწერენ:

„წუხელ 1 დეკემბერს გათენების ხანს დაიჭირეს განთქმული ავაზაკი გიორგი ჭყონია, რომელსაც ბრალი ედება ეპისკოპოსის გაცარცვაში და სხვა მრავალ ავაზაკობაში. ეს ავაზაკი მიაკვლიეს სოფ. ბახვს აზნაურის კოხტა მახარაძისას, თავის მომხრე ავაზაკებმა პავლე და მელქისედეგ მახარაძეებმა ულალატეს და გადასცეს ადმინისტრაციას. დაჭერის გამგებელი იყო „პრისტავი“ ჩიგოგიძე. იმის ხელქვეით იყვნენ პირველი სოტნის „ვახმისტრი“ ირაკლი ჯაყელი თავისი კამანდით და დრუჟინისა ურიადნიკი კოწია ჩიქვანი აგრეთვე თავისი კამანდითა. ამ დროს მოკლულ იქმნა ავაზაკის მიერ მილიცი ონერი ბიგო ხოხოძე, ხოლო მილიციონერთა დაჭრეს მსუბუქად ავაზაკი და მძიმედ გასათხოვარი ქალი. ამბობენ ქალი არ გადარჩებაო. ბოლოს ჯაყელი და ჩიქვანი შევიდნენ სახლში და შეიპყრეს ავაზაკი თავის [illegible] ჩამოიყვანეს ოზურგეთში.

## „დროების“ კორრესპონდენცია

**სიღნაღი,** 2 დეკემბერს. ამ დღეებში შემთხვევით გამოვიარე სიღნაღზედ; ჩამოვხტი სასტუმრო „კახეთში,“ რომელიც დაჰყურებს შესანიშნავს, დედაკაცთ მოიდნათ წოდებულს, მოიდანს,—თუმცა კი ამავე მოიდანზედ ირევა ყოველ გვარის ხორაგეულს შემომტანი მრავალი სოფლელი ხალხი და ყასბობა საკლავი საქონლით. ამავე მოიდნის ნაპირებზე გამართულია რამოდენიმე გამასესხებელი კანტორები გამოჩენილთ და ცნობილთ ორს გაყრილთ და საშინელ მოქიშპე ძმათ ამვები, რომელთაც მონებრივის მოწიწებით დისტრიალებენ თავსა მათი ყურმოჭრილი მოსამსახურე სიღნაღელი ადვოკატები—ტერ-მ—ვი,ს—ვი და ტევ—ი იმ ბლომა აგენტებით,რომელნიც შუამავლობენ მათ გასესხებ—გამორთმევაში და სხვ...

ამ მოიდანზედვე მუდამ შენიშნავთ, სხვათა შორის, ბევრ სოფლელთ, მებატონეებთ და სხვა-და-სხვა წრისა და ყალბის ჩინოვნიკობას და ხალხი. ამ ყრილობის და მოძრაობის მიზეზი გახლავსთ ოლქის სამსაჯულო განყოფილობის აქ ყოფნა.

ცნობის მოყვარეობამ მაიძულა შევსულიყავი მომრიგებელი მსაჯულის სასამართლოში, სადაც ამ ჟამად არჩევდენ საქმეებს თანაშემწენი მსაჯულისა თ. ჩერქეზოვი და ოლქის სამსაჯულო განყოფილების წევრნი. ამ დღეს არჩევდნენ მოქალაქის მელქო ტერ-მათეუზოვის საჩივარს გლეხებზედ და მოენეთაც ჰყავდათ ამ საბრალო გლეხებზედ უარესად უენო და უსიტყვო პირი. საქმე იმაში იყო, რომ მოხსენებულის მელქოსშვილს, მიხაკას, 15 თუმან, ვალში წაურთმევია

---

„დროების“ ფელეტონი, 9 დეკემბ.

## ქუთათური—ქუთათურად

მეორე დასის ხმოსნები.—„ვაჭრობა“ და „ჩინოვნიკობა“.—ამათი მოქმედობა ქალაქის წარმატებისათვის!—ამათი რწმენა-დევიზი — ჯერ თავო-და-თავო, მერე ცოლო და შვილო! თურმე ესენიც დალატობენ ქალაქს! ამათაც წესის აგება სჭირიათ!

ჩვენი ქალაქის სამართველოს მეორე დასს შეადგენენ ვაჭრობა და ეგრეთ-წოდებული „ჩინოვნიკობა“,ძიელ საეჭვო ჩინოვნეკებისაგან შემდგარი. ჩვენში ხომ ასეა: დღეს ვისაც შავი სერთუკი აცვია და ქუდზედაც კოკარდა უბრჭყვინავს, ჩინოვნიკს უწოდებენ. ამისთანა შავ-სერთუკიანი ბევრი გვყავან რჩევაში, რომელთაც დღეს ნაკოკარდალი ქუდი ჰხურავთ, მაგრამ ჩინოვნიკს მაინც ეძახიან, თუმცა ჩინოვნიკობა დიდი ხანია ან ძალად და ან ნებით მიტოვებული აქვსთ, მაგრამ გულით და სულით კი მაინც „ჩინოვნიკებად“ დარჩენილან.

სამწუხაროდ, ბევრს სინიდისიან და უფრო სასარგებლო ვაჭრებს, 1879 წლის არჩევანმა ამისთანა „ჩინოვნიკები—ხმოსნები“ არჩივა, ამჯობინა.

ამისთანა ჩინოვნიკები ბევრი არა გვყავან რჩევაში—სულ ხუთი თუ ექვსი კაცი—მაგრამ ამათი ხრიკები საზოგადო საქმეებში და უთავბოლოდ სიტყვების: „ტაკ-კაკის“, „ი ტაკის“, „იბოს“ და „პოელიკუს“ რახა-რუხი ყოველ-გვარს საქმის მშვიდობიანად და კარგად აწონვით გარდაწყვეტას შეუძლებელად ხდიან. — ეგენი ხშირად „ხმოსნებს—ვაჭრებს“ თავის სიტყვის და აზრის მონა მორჩილად ხდიან და რა იმისანა წალმართიანი საქმე იყოს— უკუღმართად სწყვეტენ. ამის დასამტკიცებლად მოვიყვან ორიოდე მაგალითს ჩვენი რჩევის წასრულიდამ.

სანამ ქუთაისში ქალაქის თვითმმართველობის 1871 წ. წესდება შემოვიდოდა, ახალი შენობის ამგებს ჰქონდა რვა წლის ხათრი (ლგოტა), ესე იგი ამ რვა წლის განმავალობაში ახალი სახლის პატრონი სახლის დაფასებით გარდასახადს არ იხდიდა ქალაქის სასარგებლოდ. ეგევ წესი სწარმოებდა ქუთაისში ქალაქის ახალს წესდების შემოღების შემდეგაც თითქმის ხუთის წლის განმავალობაში (1875 —1880 წლამდე). ამის გამოისობით ქალაქი ჰკარგავდა წელიწადში თითქმის 3-4 ათასს მანეთს და ამდენი ფულის დაკარგვა ქუთაისისათვის იმდენს შეადგენს, რამდენსაც პეტერბურღისათვის ნახევარი მილიონის დაკარგვა.

ხუთის წლის შემდეგ ქალაქის გამგეობამ „გამოჩხრიკა“ კანონებში, რომ ამ გვარი „ხათრი“ ახალს შენობებზე სრულებით უკანონოა და წარუდგინა რჩევას თავისი აზრი, რომ ამ გვარი უკანონო წესი მოსპობილიყო და ახალ შენობებზედაც გათავებისათანავე დაწესებულიყო გარდასახადი.

რა ამბავი შეჰქნეს, თქვენი ჭირიმე, სხდომაზე დამსწრე ხმოსნებმა-ჩინოვნიკებმა და ამათ მიმდევართ ვაჭრობამ? ყოვლად შეუძლებელი შეიქნა ამ აზრის გატარება და მართლაც უარჰყვეს, ე. ი. დასტოვეს ისევ ის წესი, რაც წინედ იყო.

ბევრი იღოღა ამ გამგეობის პროექტმა, სამოქალაქო პრისუტსტვიამდინაც კი მიაღწია, სადაც ერთხელ უარი სთქვეს და შემდეგ დაეთანხმენ გამგეობის აზრს, და ბოლოს როგორც იქნა წასრული 1881 წლის დამდეგს რჩევამაც კანონიერად იცნო გამგეობის აზრი და მოსპო ეს უსამართლო და უკანონო „ხათრი“ ახალს შენობებზე.

იკითხავთ უთუოდ, თუ რა განზრახვა ჰქონდათ ხმოსნებს ჩინოვნიკებს და ვაჭრებს, რომ თავდაპირველად ასე მტკიცედ და ვიხარ-მამაცით უარზედ იდგნენ? ის განზრახვა, რომ ბევრს იმათგანს ახალი შენობები ჰქონდათ, ბევრს ახალ შენობიანის ხათრი, პატივისცემა, მეზობლობა და ვერ გაუტეხეს იმათ პირი მით უფრო, რომ ამით თავათაც ეზარალებოდათ.

აი ამ გვარის თვალით, ასე სინიდისიანად და ასე სასარგებლოდ ქალაქისათვის სჯიან ესენი, ამ მეორე დასის ხმოსნები, ყოველ გვარს ქალაქის საქმეს: „ჯერ თავო და თავო და მერე ცოლო და შვილო“! აი ამა-

მ გლეხებისათვის, 45 ლორი და ულე-
ო ხარი, და ეხლა თითქმის, ათის
ლის შემდეგ, ამავე ვალს იდავება
ართმევს თვითონ მამა. სწორედ
ომ სულის შემაძრწუნებელს სუ-
ათს წარმოუდგენდნენ ეს უსიტყვო,
მეცარი და უპატრონო გლეხნი თა-
ისზედ უმეცარისავე მოენეთი, მეტად-
, რომ მელქო ტერ-მათეუზოვს
ყვანდა ამასთან მოსარჩლედ და მო-
აპარაკედ თავისი ძმისწული, ზემოხ-
ენებული ადვოკატი ალ. ტერ-მათე-
ზოვი. აქედამ შევედი მომრიგებელი
აჯულის კამერაში, მაგრამ სანუგეშო
ც არა აქ იყო სანთხოვი;—ისევ
გვარი სომეხი, მოვალეთაგან გლე-
ბის ყვლეფა და ცარცვა,—ისევ ამ
მეცართ და უსიტყვოთაგან მტრა-
ების, ნეუსტოიკების, გიროების
სხვა ამ გვარი რთმევა.
ჭეშმარიტად, რომ საშინელს და
მაძრწუნებელს შთაბეჭდილებას ახ-
ენს ამ გვარი ქცევა ამ ბატონებისა-
ულმერთოდ დატანჯვა საბრალო
ლხისა! როდის გაეშვირება ამათ სა-
რთლის ხელი მოსაშველებლად, და-
ხსნელად. სანამ გასტანს ეს ამ გვა-
მდგომარეობა მათი?!

მგზავრი.

### წერილი რედაქტორთან

ბატონო რედაქტორო!

თქვენის „დროების“ № 199-ში
იაურელი კორრესპონდენტი, სხვა-
შორის, ეხება ზორის მაზრის
ვდლებს და მაგალითად მოჰყავარ
, როგორც შემავიწროებელი ხალ-
სა. ამის პასუხად გთხოვთ დაბეჭდოთ
წერილი „დროებაში“.
ბ. ოსიაურელ კორესპოდენტს ეტ-
ბა, რომ როდესაც თავისი კორეს-
ნდეცია უწერია, ერთობ აღელვე-
ლი ყოფილა. ის ბრძანებს, რომ
რის მაზრის მღვდლებმა ერთობ
ავიწროეს მრევლნიო დრამის ალებით
და მაგალითად მოჰყავს ჩემი მოქმედება, რომ ამითი შეურაცხჰყოს ჩემი სახელი საზოგადოების წინ. არა, ამითი საზოგადოებას ვერ დააჯერებს ამიტომ, რომ ეს ძალათი შეთხზული მოქმედობა არის. ამითი შეუძლიან იმას ალტაცებაში მოიყვანოს ის პირნი, რომელთაც გადაუციათ მისთვის ეს ცრუ ამბავი.

რას უწოდებს ოსიაურელი ჩვენ, მღვდელთაგან, მრევლის შევიწროებასა? თუ რომ დრამა ავკრიფეთ—სასყიდელი ჩვენის სამსახურისა—მრევლი იწროვდება ამისათვის, რომ მას უჭირს და სამძიმოთ აქვს დრამის მიცემა. ერთსაც ვერ ვიპოვნით მრევლს, რომელმაც დრამის მიცემა არ გაიძნელოს. მაშ ოსიაურელის სიტყვები ასე უნდა გავიგოთ: რომ მრევლი არ შევიწროვდეს დრამა არ უნდა მივიღოთ მღვდლებმა! აი ნამდვილი დასკვნა მისის სიტყვებისა.

ჩვენ მღვდელნიც ერთ-ხმად დავეთანხმებით ოსიაურელ კორესპონდენტს, რომ ჩვენი მრევლი ძრიელ გაჭირვებულია, შეწუხებულია; მაგრამ იმისათვის კი არა, რომ მღვდელთ დრამა გვილია და ვიღებთ. ჩვენს დრამას, როგორც სხვა ყოველ გვარ სახელმწიფო გარდასახადს, ხალხი არც შეუვიწროებია(?) და არც მომავალში შეავიწროებს, იმედია; და თუ ხალხი ასე აზვავებულა დრამის მიცემის შესახებ, ეს იმის ბრალია, რომ ამ გვარ კორესპონდენტებს სიმართლით ლაპარაკი რომ ვერ გაუბედნიათ, ჩვენს დრამაზედ უთითებენ ყველას ხელს, როგორც ერთ მიზეზთაგანზედ ხალხის შევიწროებისა. ხალხის შემავიწროებელი მიზეზები კი აუარებელია და ამათი მოსპობა, ჩემის აზრითა მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ რომ ხალხს ეყოლება პატიოსანი და შრომის მოყვარე პატრონი—მამასახლისი(?), რომელმაც მოუაროს და დაუცხრომელად იზრუნოს მის კეთილ დღეობაზედ, რომელმაც ნამდვილად, კეთილ სინდისიანად და მამაშვილურის გრძნობით დაიცვას ხალხის ცხოვრება.

მამასახლისების დაუდევრობით დრამის მოკრეფა ხდება ისევ ჩვენ მღვდლებისაგან. მღვდლებმა უნდა დავიაროთ და ვითხოვოთ მრევლში. შეჭირვებული მრევლიც ყოვლის-ღონის ძიებით ცდილობს ისარგებლოს ჩვენის გულ კეთილობით და გაგვინახევროს მოსაცემი. და რამდენიც უფრო გულ კეთილობას იჩენს მღვდელი, იმდენად უფრო ბოროტ-მოქმედობს მრევლი. ასე იქცევა მრევლი იმიტომ უფრო, რომ იგი ცხადათა გრძნობს მამასახლისებისაგან დაუდევრობას მთავრობისაგან მოხდენილს განკარგულებაზედ დრამის შესახებ. ეს მე თვითონ გამოვსცადე საქმით. შარშანდელმა გულ კეთილობამ ისე გამიხადა საქმე, რომ ჩემის სამრევლოს რომელიმე ნაწილისათვის იასაული მამათხოვინა მამასახლისისაგან, მთავრობის განკარგულებით. ამ იასაულმა რამდენიმე კომურისაგან ამიღო დრამა, მაგრამ ამას არც ვინმე გაულახავს და არც ვისიმე ქვრივისათვის მკლავი დაუშავებია. ის დედაკაცი, რომელზედაც ლალადებს ოსიაურელი კორესპონდენტი, გახლავს გლეხის შიო ხარშილაძის ქვრივი-თინათინი. ამას ყავს ორი ცოლშვილიანი და ერთიც საცოლო შვილები. სანახავად ისეთი ვაჟკაცები არიან, რომ მტერსაც შეეშურება მათი ვაჟკაცური ტანადობა; მაგრამ მათი ზარმაცობა კი ყველას თავს-ზარს დასცემს. იქნება ამათი ზარმაცობის გამო, ოსიაურელი ამათ აღარ ასახელებს და მხოლოდ ამათ ქვრივ დედას იხსენიებს, როდესაც ამბობს, რომ ჰე მივუსიე გზირი ერთ ქვრივ დედაკაცსა. სცდება. მანამ იასაული მივიდოდა, ამ ოჯახში დრამის მოცემა განიზრახა და მეც რამდენიც შეიძლებოდა ვაპატივე. როდესაც მოსატანად გავგზავნე, ერთმა ძმათაგანმა მეოთხედის მეტი აღარ იძლია, რაც გვერგებოდა და ისიც ძალიან დაბალი ხარისხის ქერი. ამასთანავე გვიქადაგა, რომ გლეხს რაც ემეტებოდეს, იმითი უნდა სცეს მღვდელს პატივიო. ამ ოჯახში იასაულმა სავსე გოდრებით ნახა მოვალებისათვის განმზადებულნი და აქედგან აიღო დრამა. რწყვის დროს არც თინათინი მოშორებია გოდორს და როდესაც იგი მოულალავის ენით კრულვიდა და კოქვიდა უსიამოვნო სტუმარს, ამ დროს უეცრად გადმოვარდა გოდრიდგან ფიცარი და ხელი ჩაუფხაჭნა იმოდენად, რომ სისხლი გამოჩნდა. ამას უძახიან ხელის დაშავებას და გზირისაგან ცემას.

მე რა ნება მაქვს, რომ ამისთანა შემთხვევებში გზირი უსიო მრევლს და ან საიდგან მოხდებოდა ჩემგან „დაჰკარის“ ბრძანება, როდესაც მე თვითონ არაოდეს არც გავსულვარ პრიხოდში დრამის შესაკრებად, არც გავდივარ და არც გაველ, რაც უნდა იყოს. მე დრამას დიაკვნების და სტარასტის შემწეობით ვკრეფავ.

აი ამისთანა შემთხვევის გამო ოსიაურელი კორრესპონდენტი ცდილობს ჩემის სახელის შეურაცხყოფას და თანაც ისეთ აღელვებულ მდგომარეობაში შედის, რომ ტურა და მგელიც კი თვალებში ეჩვენება. დარწმუნებული იყოს, რომ თუ მართლა უწესოება რამ ხდებოდეს ჩვენგან მრევლში, ჩვენის მთავრობისაგან არ დაიფარება და არც დაუსჯელნი დავრჩებით კანონისაგან.

ვაჟის მღვ. იოანნე მხარობელიძე

1 დეკემბერს.

## უცხოეთი

**საფრანგეთი.** 200,000 ათასი კაცი დასწრებია ლუი-ბლანის გასვენებაზედ, ასამდი დეპუტაცია ყოფილა.

---

შუბლზე წარწერა, ამათი რწმენა,
თი დევიზი!
რთი და მხოლოდ ერთი საქებუ-
ხასიათი სჭირთ ამ მეორე დასის
ნებს,—ეს ის, რომ ხშირად დაია-
ან რჩევის სხდომაზე. არა, ამათ-
ც არიან, იმისთანა ხმოსნები, რო-
ც მაგ. „ჭირიან ძროხებზე და ხა-
ზე გასუქებული“ ერთი სოვდა-
თაგანი-ხმოსანი, რომელიც წელი-
ში ერთხელ თუ მივა სხდომაზე და
ც მაშინ, როდესაც მეყასპეების სა-
ის განხილვა იქნება ხოლმე,—ან
როგორც მაგ. ცეცხლისაგან გა-
ებული, გასუქებული და გამდიდ-
ული „მეორე გილდის კუპეცი“—
სანი, რომელიც მაშინ მოდის
ომაზე, როდესაც რჩევას ქუთაისის
ლ-წოდებულს „პაქარნის ნაწი-
სათვის“ ხარჯზე აქვს სჯა, რომ
გორმე ამ საჭიროებისათვის ხარჯი
ცირონ: ვერ ხედავთ—რა შორს
რება? რაც უფრო უვარგისი „პა-
ნის ნაწილი“ ექნება ქალაქს, ისე
რო ადვილად დასწვავს თავის „და-
ზღვეულს“ დუქანს და საქონელს.

დიახ, ამათშიაც, ამ მეორე დასის ხმოსნებშიაც მოიპოვებიან რჩევის სხდომაზე იშვიათი მოსიარულენი, მაგრამ მაგიერად რამდენიც და როდესაც კი მოდიან, მტკიცედ უჭირავსთ თავიანთი თავი და სიტყვა, რა საქმესაც უნდა მიადგნენ, ბრუნდეა თუ მართალი—ამას არ დაეძებენ, უთუოდ გაიტანებენ, თავისას გაიყვანებენ. დღესდღეობით, როდესაც პირველი დასის ხმოსნები იშვიათად დადიან სხდომებზე და „ბურთი და მოედანი ამათ დარჩათ“ ძალაც და „ბრუნდი“ სიმართლეც ამათ ხელშია, ესენი არიან დღეს ქალაქის ბედ-უბედობის მატრიალებელნი, ქალაქის პატრონნი და ამისი საჭიროების გამკითხველნი.

—აბა ახლა, თქვენ განსაჯეთ, მკითხველო, რისი ღირსნი არიან ჩვენი რჩევისა ის „ახალგაზდა და განათლებულნი“ ხმოსნები, რომელთაც შავ-ბედითი ქუთაისის საქმეები ამისთანა კაცებს ჩაუგდეს ხელში? როდესაც მთელი რუსეთის დაწინაურებული და ლიბერალური დრო-გამოშვებითი ლიტერატურა იმას ლალადებს, რომ სამოქალაქო რჩევაში ხმოსნობის უფლების მოპოებისათვის ცენზის წესდებულება შეიცვალოსო, რომ ხმოსნებად, მარტო „ბაზრის“ მცოდნე ხალხი კი არა, უფრო განათლებული და სხვა წოდების ხალხიც უნდა იქმნესო, ამ დროს, ვანბობ, ეს ჩვენი „სანატრელი“ ხმოსნები, ცოდვა-მადლით, როგორც ზევით მოგახსენეთ, მოპოვებულს უფლებას ხელიდამ უშვებენ, „ხმოსნობას“ მარტო სახელისხთვის ატარებენ, და იმასთან შეერთებულს უფლებას კი ანებებენ „ბაზრის“ კაცებს. კიდევ, გკითხავთ, რანი ყოფილან ესენი და რისი ღირსნი არიან?!.

მე ჩემის მხრით მიწოდებია პირველი დასის ხმოსნებისათვის მოღალატედ, როგორც თავის სინიდისის წინ, ისე მთელი ქალაქის საზოგადოებისა, რადგან ამ საზოგადოების მონდობილობა ისე ვერ შეასრულეს, როგორც იმედი ჰქონდათ; ხოლო მეორე დასის ხმოსნებისათვის მიწოდებია თავიანთი ინტერესისა და მუცლის მექომაგედ. თუმც, ესენიც მოღალატენი გამოდიან საზოგადოებასთან, მაგრამ, მაგიერად, არ შეიძლება არა ვსთქვათ, რომ ამათი ნამოქმედები, თუმც პირადი ინტერესების შეხედულობითაც კი მოსდიოდათ, ხანდისხან უფრო მოგებული გამოდის ქალაქისათვის, ვინემც პირველი დასის ხმოსნებისა სრული უმოქმედობა.—ორივე დასისანი კი სიმართლით წყალ-წაღებულებად უნდა ჩავრიცხოთ და გვიმართებს ვურჩიოთ—დროა დაეკითხონ ნამუსს, სინიდისს და დასთმონ თავის დროზე—ერთის წლის შემდეგის სახელი, რა სახელსაც ატარებენ. ამით არ ვათავებ ქუთაისის რჩევის ხმოსნებზე ლაპარაკს; შემდეგს წერილში ვეცდები გავაცნოთ ქალაქის გამგეობის (უპრავის) წევრებს—რჩევის გარდაწყვეტილებების აღმასრულებელს ორგანოსს ანუ დაწესებულებას.

ქუთაისელი.

3-ს დეკემბერს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბევრი მგრძნობიერი სიტყვები წარმოუთქვამთ ლუი-ბლანის საფლავზედ. ამ შემთხვევისათვის დაუწერია ვიკტორ ჰიუგოს სიტყვა, რომელიც აგრეთვე წაუკითხავთ ბლანის საფლავზედ. ხალხი ალტაცებით ტაშს უკრავდა მოლაპარაკეთ, ხშირად გაისმოდა ძახილი „გაუმარჯოს რესპუბლიკას“, მაგრამ უწესოება არა მომხდარა.—ლუი-ბლანი ანდერძით ითხოვდა, რომ მოქალაქობრივი წესით დამარხულ ყოფილიყო ის. თვისი წიგნთ საცავი მან უანდერძა პარიჟის მეხუთე უბნის სახალხო წიგნთ-საცავს, რომლის, უბნის, წარმომადგენელიც იყო ლუი-ბლანი დეპუტატთა პალატაში. თვისი სურათი ლუი-ბლანს უანდერძნია სენატის წიგნთ-საცავის მმართველის შარლ ედმონისათვის.—ბამბეტა სრულებით კარგად არის ამ ჟამად და სახლიდამაც გამოდის.

—

**იტალია.** ზოგიერთ იტალიის უნივერსიტეტის სტუდენტებს დეპეშით უთხოვნიათ ვიქტორ ჰიუგოსა და გრაფ ანდრაშისათვის, რომ ამათ იშუამდგომლონ ავსტრიის იმპერატორის წინაშე ობერდანკის შეწყალებაზედ. ეს ის ობერდანკია, რომელმაც ამ ერთი თვისა თუ მეტის წინად, დღესასწაულის დროს ქალაქ ტრიესტში, ავსტრიაში ყუმბარა ისროლა ხალხში და რამდენიმე კაცი მოჰკლა.

## ტფილისის სამკურნალო.

ავადმყოფები მიიღებიან დილის რვა საათიდამ თორმეტ საათამდის.

**ორშაბათს.** გარალევიჩი და ლისიცევი—შინაგან ავადმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავადმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავადმყოფობისა; ბაბაევი მარღვების სისუსტის და შინაგან ავადმყოფობისა.

**სამშაბათს.** მინკევიჩი—ხირურგიული ავადმყოფობისა; ლისიცევი—შინაგან ავადმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავადმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავადმყოფობისა; ბაბაევი და დანიელ-ბეგოვი—ძარღვების სისუსტის და შინაგან ავადმყოფობისა.

**ოთხშაბათს.** ლისიცევი და მირიმანოვი შინაგან ავადმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუსტის ავათმყოფობისა.

**ხუთშაბათს.** ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების ავათმყოფობისა.

**პარასკევს.** მინკევიჩი — ხირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი, მირიმანოვი და დანიელ-ბეგოვი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუსტის ავათმყოფობისა.

**შაბათს.** ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღ. სუსტის ავათმყოფობისა.


# განცხადებანი

# აუქციონი

11 და 18 დეკემბერს, 1882 წელსა ჰრიკაზში დანიშნულია აუქციონი გასასყიდად ვერცხლეულობისა ოქროულობისა და მვირფასი თვლებიანი ნივთებისა.

ვ. შავერდოვის გაზეთის სააგენტოში ტფილისში (გოლოვინის პროსპექტზე ალექსანდროვის ბაღთან საკუთარს პავილიონში).

მიიღება ხელის მოწერა

1883 წლისა

ყოველ გვარ ჟურნალებზედ და გაზეთებზე ადგილობრივ, რუსულ და ამზღვარ გარეთებზედაც. (20—10)

ბ.ბ. მუშტართ ჩაისა

ჩვენის ფირმის უმორჩილესად ვთხოვთ მიაქციონ ყურადღება ბანდეროლობაზე ასოთ კ. და ს.

ძმანი კ. და ს. პაპოვები, სავაჭრო სახლი მოსკოვში. (10—3)

ექიმი—ბებია

# ნ. დ. გავრონსკი

გადავიდა ახალს სახლ. ზუბალოვისა ერევნის მოედ. და სასახლის ქუჩის კუთხეში. შესავალი ერევნის მოედანით.

იღებს ავად-მყოფებს განსაკუთრებით დედაცთა და ბავშვების სატკივრებით მუდამ დღე, უქმეებს გარდა, დილის 9 საათ. 11-მდის. (10—3)

დაიკარგა ძაღლი, პონტერი თეთრი გულით.

მნახველს ვთხოვთ წარმოადგინოს „დროების“ რედაქციაში რისთვისაც მიიღებს რიგიან ჯილდოს. (5—3)

დაიბეჭდა და ისყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

დედა და შვილი

და

რამდენიმე ლექსი

თ. ილია ჭავჭავაძისა.

ზ. ჭიჭინაძისაგან გამოცემული

ფასი 15 კაპ.

ინგლისის

# მაღაზია

*Maison de confiance*

| | |
|---|---|
| შეადარეთ წვენი ჩაი—1 მ. 10 კ. | მოსკოვის ჩაის—1 მ. 40 კ. |
| — — —1—20 | — —1—60 |
| — — —1—40 | — —1—80 |
| — — —1—60 | — —2— „ |
| — — —1—80 | — —2—50 |
| საუკეთესო—2— „ | — —3— „ |

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრაოტები, ჰურჭელი, ჩაიდნები, გასალესები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეიონკა, წინდები—კაცის და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოშინ კალენკორი—სულ ყველაფერი 25, დამ 5ს პროცენტით უფრო იაფად ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1,000 მანეთამდის საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ იხდის. (100—19)


[illegible]

საკვების ხარჯეულებათა, რომელნიც ისყიდებიან ტფილისის ბაზრებში, დუქნებში და დაკარებით 1 დეკემბრიდამ 1 იანვრამდის.

გამომცხვარი პური: ხორბლის ფქვილის

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 5 კ. |
| მეორის „ | —1 გირ. | 3½ |
| მესამის „ | —1 გირ. | — |

იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი:

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 5 კ. |
| მეორის „ | —1 გირ. | 4 კ. |

ჭვარის-მამის პური:

| | | |
|---|---|---|
| პირველ ხარის. ლავაში | 1 გირ. | 5 კ. |
| მეორის „ „ | —1 გირ. | 4½ |
| მესამის „ „ | —1 გირ. | 4 კ. |

ძროხის ხორცი:

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 9 კ. |
| მეორის „ | —1 გირ. | 8 კ. |
| სუკი — — | —1 გირ. | 15 კ. |
| ცხვრის ხორცი | 1 გირ. | 9 კ. |

ღორის ხორცი:

| | | |
|---|---|---|
| პირველი ხარისხის | —1 გირ. | 10 კ. |
| მეორის „ | —1 გირ. | 9 კ. |


ინგლისის მაღაზიაში

# თმის ამომყვანი მაკმასტერი



ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ. (100—18)

აქვე ისყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სხოტკები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ.

ბეკკერის თეატრი

მუშტაიდის მოედანზედ.



მშვენივრად მოწყობილი სცენა ელექტრონული გაჩაღებით.

ხუთშაბათს, 9 დეკემბერს

გამოჩენილის რუსეთის და პრუსიის სასახლის მაგიკისგან

პროფესორი ბეკკერისგან

იქნება დიდი და ბრწყინვალე წარმოდგენა ახალის პროგრამით, სხვათა შორის განსაცვიფრებელი

სპირიტიული ფოტოგრაფია ბეკკერისა

წუთში გადაღება ფოტოგრაფიის კარტოჩკიდგან და იმის გადიდება კაცის სიმაღლემდის. გამოცხადება ერთის ტფილისელ ნაცნობის პირისა. შემდეგ

პროტეუს, ანუ ბეკკერის სათვალთმაქცო შკაფი

ადგილების ფასი ჩვეულებრივი.

დაიწყება 8. საათზე.

შაბათს, 11 დეკემბერს ბავშვებისთვის მესამე წარმოდგენა დაკლებულის ფასებით

ბიბლიოგრაფიული განცხადება.

**ბუნების კარი,** ანუ ყრმათათვის საკითხავი წიგნი უმცროსს კლასებში სახმარებელი, შედგენილი ი. გოგებაშვილისაგან, დაიბეჭდა მეოთხე შეცვლილი გამოცემა და ისყიდება გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში, ქუკიის ხიდის ყურთან. ფასი თხუთმეტი შაური. სასწავლებლებს და კერძო პირებს, რომელნიც იყიდიან ნაღდს ფულზედ ერთად თხუთმეტს ეგზემპლიარისა, ანუ მომეტებულსა, დაეთმობა ეგზემპლიარი თოთხმეტ შაურად; ვინც ოც-და-ათს ეგზემპლიარს იყიდის, წიგნი მიეცემა ცამეტ შაურად. ფულისათვის უნდა დაემატოს სამი შაური.

**კარტა საქართველოსი,** მეორე შევსებული გამოცემა; ისყიდება იმავე მაღაზიაში. ფასი სამი აბაზი; ვინც ათს ეგზემპლიარს იყიდის, კარტა მიეცემა თერთმეტ შაურად, ოცი ეგზემპლიარის მყიდველს—ათს შაურად.


*Дозволено цензурою. Тифлисъ, 8 Декабря 1882 г.* *Типографія Меликова* გამომცემელი ს. მ[illegible]. რედაქტორი ს. მესხი